

## ამერბაიჯანელ ჟურნალისტს სომხეთის სასარგებლოდ ჯამუშობას აბრალებენ

**Author:** Idrak Abbasov

თურქეთიდან დაჩქარებული წესით ექსტრადირებულ რაუფ მირკადიროვს „სახელმწიფო საიდუმლოების“ გამჟღავნება დააბრალებს.

ცნობილი ამერბაიჯანელი პოლიტიკური მიმომხილველი რაუფ მირკადიროვი თურქეთიდან ბაქოში იქნა დეპორტირებული, სადაც ის დააკვეს და სომხეთის სასარგებლოდ ჯამუშობისთვის ნაუყენეს ბრალი.

მირაკადიროვი, რომელიც გაზეთ „Ayna Zerkalo“ – სთვის ამზადებდა რეპორტაჟებს, თურქეთში ოჯახთან ერთად 2010 წლიდან ცხოვრობდა.

19 აპრილს მირკადიროვი ავტობუსით გამოემგზავრა საქართველოში, მაგრამ გზაში ის თურქეთის პოლიციამ ავტობუსიდან ჩამოსვა და ბაქოში თვითმფრინავით გამოუშვა.

ბაქოს აერთაბორტში მას ეროვნული უშიშროების სამსახურის თანამშრომლები დახვდნენ და ის დააკვეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით მირკადიროვს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიესაჯა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, მირკადიროვი სომხეთის სპეცსამსახურებთან 2008 წლიდან თანამშრომლობდა.

„სომხებისგან მიღებული მითითებების მიხედვით, ის სისტემატიურად ხვდებოდა მათ სომხეთში, საქართველოში და თურქეთში და გადასცემდა ინფორმაციას ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და სამხედრო ვითარების შესახებ, ასევე სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციას, ფოტოსურათებთან და დიაგრამებთან ერთად, ამერბაიჯანის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურორების მტკიცებით, მირკადიროვი ეკონტაქტებოდა სომხური კვლევითი ცენტრის „რეგიონის“ ხელმძღვანელს ლაურა ბაგდასარიანს და მას გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას, რომელიც გამიზნული იყო ამერბაიჯანის სუვერენიტეტის, ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის და თავდაცვითი უნარისთვის ზიანის მისაყენებლად.

მირკადიროვი ადვოკატმა, ფუად ავაევმა, 21 აპრილს უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლაციაში მოინახულა. შეხვედრის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი კლიენტი ნაყენებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებდა და გამოძიებლებისთვის ჩვენების მიცემაზე უარს ამბობდა.

ავაევის თქმით, პროკურატურის მიერ ბაგდასარიანის ხსენება, რომლის ორგანიზაციაც აქტიურად უჭერს მხარს საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას, უკვე თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ ბრალდებები მოგონილია.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, ბრალდების მხარე საფუძვლად იყენებს იმ ფაქტს, რომ ამერბაიჯანელი და სომეხი ჟურნალისტები ხშირად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა მათ შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას და ამ გზით ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას ემსახურებოდა.

„მას ყველა იცნობს“, – აცხადებს ბაგდასარიანის ადვოკატი. „ადამიანის უფლებადამცველი აქტივისტები და ჟურნალისტები საქართველოდან, ამერბაიჯანიდან და სომხეთიდან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს ახორციელებენ. ამ პროექტებში ჩართულია ლაურა ბაგდასარიანიც. ბრალდების მიხედვით, რაუფი მას ინფორმაციას გადასცემდა, რაც სრული აბსურდია“.

გაზეთ Ayna-Zerkalo-ს მთავარი რედაქტორი ელჩინ შიხლი ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია ის, თუ რატომ დააპატიმრეს მისი კოლეგა.

„ვერცერთი ჟურნალისტი ვერ ანალიზებს სომხეთის სიტუაციას ან კიდევ მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებს ისე, როგორც ამას რაუფი აკეთებს“, – ამბობს შიხლი. „მის სტატიამ ის განიხილავს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ვერ ხერხდება მოლაპარაკებებზე შედეგების მიღწევა და ის ყოველთვის იცავს ამერბაიჯანის პოზიციას.“

რაც შეეხება შპიონაჟის ბრალდებას, შიხლის თქმით, „სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მათზე ხელი მიუწვდება. რაუფი არ იყო სახელმწიფო მოხელე და არც ის, ვისაც საიდუმლოებებზე მიუწვდებოდა ხელი, ასე რომ ეს ყველაფერი სრულიად გაუგებარია ჩემთვის“.

საქმეს უკვე მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება.

ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) მირკადიროვის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს და ხაზგასმით მიუთითებს თურქეთის ხელისუფლების როლზე ჟურნალისტის ექსტრადირების ხელშეწყობის საქმეში.

„მირკადიროვის უკანონო ექსტრადირებით თურქეთის ხელისუფლება ამერბაიჯანის მიერ ამ ჟურნალისტის დევნაში აღმოჩნდა ჩართული“, – აცხადებს RSF-ის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში იოჰან ბირი. „მირკადიროვის მიმართ ნაყენებელი მძიმე ბრალდებები სრულიად აბსურდულია და ამით ვერავის მოატყუებენ“.

„ის არის უბრალოდ მსვერპლი იმ კამპანიის, რომელსაც ამერბაიჯანის ხელისუფლება მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის გასანადგურებლად აწარმოებს. როგორ შეძლებდა ჟურნალისტი სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებას, რომელზეც მას ხელი არ მიუწვდებოდა?“

RSF-ის წუხილს იზიარებენ და გამოეხმაურნენ ევროსაბჭოში, ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტში და აშშ საელჩოში ბაქოში.

ამერბაიჯანის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ალი ჰუსეინოვი უსაფუძვლოდ მიიჩნევს ბრალდებებს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს. ის ასევე აღნიშნავს, რომ „სახალხო დიპლომატია“, რომელშიც ჩართულები არიან არასამთავრობოები, ჟურნალისტები და სხვა პირები არაკანონიერ საქმიანობად ითვლება.

„ზოგიერთი იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ თითქოს რაუფ მირკადიროვი, ადამიანი, რომელიც ღალატის ბრალდებით არის დაკავებული, ჩართული იყო „სახალხო დიპლომატიაში“, რაც არასწორია“, – განაცხადა მან საინფორმაციო სააგენტო APA-სთან საუბრისას. „საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს, რომ ამჟამად არსებული საომარი სიტუაციის პირობებში, სომხეთ-ამერბაიჯან შორის მიმდინარე ნებისმიერი სახის მოლაპარაკებები მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ დონეზე მიმდინარეობს“.

თურქეთის მიერ მირკადიროვის ნაჩქარევი ექსტრადიცია ამ ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ პროცესებზე ბევრ ეჭვს აჩენს.

ადვოკატის თქმით, მისი კლიენტი 9 აპრილს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და აკრედიტაციის შეწყვეტის შესახებ ამცნეს, რის გამოც მას და მის ოჯახს ქვეყანა უნდა დაეტოვებინათ.

ეს მოხდა ბაქოში თურქეთის პრემიერის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ვიზიტიდან რამდენიმე დღეში. აგავეის თქმით, მისი კლიენტი ფიქრობს, რომ ერდოღანმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თავიანთ ქვეყნებში არასასურველი პირების სიები გაცვალეს, რომელთა შორის მირკადიროვის გვარიც აღმოჩნდა.

მირკადიროვი თურქეთიდან დეპორტირებული უკვე მეორე ჟურნალისტია. თებერვალში თურქეთის ხელისუფლებამ გაზეთ Today's Zaman-ის ჟურნალისტი მაჰირ ზეინალოვი გამოაძევა ქვეყნიდან. მას ბრალი ერდოღანისა და მისი მთავრობის შესახებ კრიტიკული სტატიების წერის გამო წაუყენეს.

ზეინალოვი აზერბაიჯანში ველარ დაბრუნდა და ამჟამად სხვა ქვეყანაში ცხოვრობს.

მირკადიროვის დაკავების შემდეგ, მისი ცოლი ადელია და უმცროსი ქალიშვილი საქართველოში ჩამოვიდნენ, სადაც აქამდე რჩებიან. მათი 12 წლის უფროსი ქალიშვილი კი ჯერ კიდევ ანკარაშია.

ადელია მირკადიროვას თქმით, მან არ იცის რა მოხდება მომავალში, თუმცა იმედი აქვს, რომ მის მეუღლეს მალე გაათავისუფლებენ, რადგან მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები აშკარად მოგონილია.

**იდრაკ აბასოვი თავისუფალი ჟურნალისტი აზერბაიჯანში.**

**Location:** Azerbaijan

**Topic:** Human rights

---

**Source URL:** <https://iwpr.net/ka/global-voices/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%93>